ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #67

19 ოქტომბერი, 2021 წელი
15:00 საათი
(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 19 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. მიხეილ მესხი;
5. ზაზა მამალაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის დაფინანსების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ კომისიის წევრებს გააცნო რევმატოიდული ართრიტით დაავადებული კავშირის წერილი სადაც აღნიშნულია, რომ რევმატოიდული ართრიტი ავტოიმუნური, ქრონიკული დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახსრების პროგრესირებადი, შეუქცევადი დაზიანება და ქმედუუნარობის განვითარება. რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო საშუალებები დაყოფილია ორ ჯგუფად არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო

პრეპარატები და დაავადების მამოდიფიცირებელი ანტი-რევმატული მედიკამენტები და ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც განაპირობებენ რევმატოიდული ართრიტის პროგრესირების შეფერხება/შეჩერებას და სახრების ფუნქციის შენარჩუნებას. რევმატოიდული ართრიტით დაავადებული კავშირი ითხოვს დაფინანსდეს რევმატოიდული ართრიტით დაავადებული იმ პაციენტების მკურნალობა ბიოლოგიური პრეპარატებით, რომლებიც რეზისტენტულნი არიან დაავადების მამოდიფიცირებელი ანტირევმატიული მკურნალობის მიმართ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის საქართველოში ბიოლოგიური თერაპია არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და იგი არაა ხელმისაწვდომი პაციენტთა უმრავლესობისათვის, რაც იმას ნიშნავს რომ პაციენტები განწირულნი არიან ქმედუუნარობისათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შეენიშნება დაავადების გაახალგაზრდავება და პაციენტებში ვითარდება მძიმე ქმედუუნარობა რაც იწვევს სამსახურის დაკარგვასა და შესაბამისად საარსებო წყაროს დაკარგვას. ვფიქრობ, დედაქალაქმა რესურსების გათვალისწინებით უნდა დაიწყოს აღნიშნული პაციენტების პროგრამული დაფინანსება.

კომისიის თავჯდომარემ, აქვე განაცხადა რომ აღნიშნული წერილი უკვე გადაგზავნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგომი განხილვისა და რეაგირებისათვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და წინადადება დადებითად შეაფასეს

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე